სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №385

ქ. ბათუმი

09 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში ,,დამკვეთი'') წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის რაულ აბულაძის სახით და მეორე მხრივ შპს „მათე-92" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ აბულაძის სახით („სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 55300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - დამკვეთს, ხოლო ერთი - შემსრულებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „დამკვეთი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „შემსრულებელი" – პირი/ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსრულებელმა დეპარტამენტის სტუმრებს, კერძოდ, ტელეარხი 25-ის, მაესტროს, ინფო 9-ის, ობიექტივის, საინფორმაციო სააგენტო „IPN"-ის ჟურნალისტებს (სულ 10 (ათი) პიროვნება) 2016 წლის 11 დეკემბერს უნდა გაუწიოს კვებით მომსახურება, შემდგომში მომსახურება.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 360 (სამას სამოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.3. დამკვეთი არ არის ვალდებული შეიძინოს 2.1. პუნქტში მითითებული მომსახურება სრული მოცულობით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის ან/და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის (სასაქონლო ზედნადების) საფუძველზე.

4.3. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად შემსრულებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსრულებელი დამკვეთს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (სასაქონლო ზედნადებს) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შესაბამისად.

5.2. მომსახურების გაწევა დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (სასაქონლო ზედნადებს) გაფორმების დღიდან.

5.3. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირებია:

ა) ქეთევან დოჭვირი - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი;

ბ) ნონა მარკარიანი - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;

6. მომსახურების გაწევის ადგილი

6.1. მომსახურების გაწევა მოხდება მისამართზე: დაბა ხულო.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გაუწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. დამკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) დამკვეთის მხრიდან განახორციელებს ნონა მარკარიანი - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, დამკვეთი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**შპს „მათე-92"**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ფ. N84/86	*მისამართი: ხულო, აღმაშენებლის ქ. N1*
ტელ: (+995) (422) 27 50 23	*ტელ: 598095649*
	საიდენტიფიკაციო კოდი: 248049133
	საბანკო რეკვიზიტები:
	სს ლიბერთი ბანკი
	კოდი: LBRTGE22
	ანგარიში GE40LB0113116132722000
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	**დირექტორი**
/რაულ აბ[illegible]	/თეიმურაზ აბულაძე/ ბ.ა.